ოქმი:**ო08. 3723072001**

თარიღი:**13/03/2023**

ოქმი № 4
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 24 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ვ. ნიჟარაძე, პ. კიღურაძე, ალ. ღლონტი, გ. ჩავლეშვილი, ბ. კილაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, ალ. ბურჭულაძე, პ. სალუქვაძე, თ. ტუღუში, გ. შილაკაძე, ბ. ქათამაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების(ს/კ 26.26.56.186) და ს/კ 26.26.57.386) სარგებლობის უფლებით შ.პ.ს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „მერცხალი“ -თვის გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

4.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ლ. თავაძე

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყეების თაობაზე სატყეო სააგენტოს ინფორმაციის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსნებელი: თ. ანთაძე

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების(ს/კ 26.17.17.002) სარგებლობის უფლებით შ.პ.ს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „მერცხალი“ -თვის გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

მომხსენებელმა, დ.ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, ვრცლად კი მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით. თ. ბაქანიძემ კომისიის წევრებს ასევე გააცნო დღის წესრიგში წარმოდგენილი N2 და 3 საკითხებიც, აღნიშნა, რომ ეს საკითხები იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, შენიშვნები არ შემოსულა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ამ პროექტების საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ კომისიის წევრებს გააცნო N4 საკითხი, აღნიშნა, რომ ეს საკითხი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, შენიშვნები არ შემოსულა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრებმა N 5 საკითხზე მოისმინეს თანამომხსენებლის თ. ანთაძის ინფორმაცია, რომელმაც ასევე უპასუხა დასმულ შეკითხვებს და ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

კომისიის წევრებმა N6 საკითხზე მოისმინეს თანამომხსენებლის თ. ბაქანიძის ინფორმაცია და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1.2.3,4,6 საკითხები წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვის მიზნით.

2. N 5 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი